<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge) 15.07.2015, სარეგისტრაციო კოდი:130000000.05.001.017864) 30-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 30^1 მუხლი:

„მუხლი 30^1. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მოსამსახურის თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე გადაყვანა

1. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, სამსახურის უფროსის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებითა და მოსამსახურის თანხმობით ან მოსამსახურის თანხმობის გარეშე შეიძლება მიღებული იქნას გადაწყვეტილება მსგავსი ფუნქციის მქონე თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე მოსამსახურის გადაყვანის შესახებ. აღნიშნული გადაყვანა შესაძლებელია განხორციელდეს აგრეთვე ტერიტორიულად სხვა ადგილზე. მოსამსახურის თანხმობის გარეშე ამ წესით გადაყვანა დასაშვებია 1 წლამდე ვადით. აღნიშნული 1-წლიანი ვადის სრულად ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული ვადა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაგრძელდეს დამატებით 1 წლამდე ვადით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაყვანა დასაშვებია, თუ მოსამსახურის განათლების (კვალიფიკაცია) და მის მიერ შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, მას შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ ან შესაბამისი სამსახურებრივი საჭიროების აღმოფხვრისას, მოსამსახურე უბრუნდება გადაყვანამდე დაკავებულ თანამდებობას, ხოლო თუ აღნიშნული შეუძლებელია, ინიშნება შესაბამის ტოლფას თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოსამსახურე უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე, იგი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

4. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე მოსამსახურის თანაბარ (ტოლფას) თანამდებობაზე ამ მუხლით დადგენილი წესით გადაყვანის გარდა მოსამსახურის სამსახურებრივი გადაადგილების სხვა შემთხვევები განისაზღვრება სამსახურის უფროსის ბრძანებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**